მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №13

ქ. მარტვილი 27 მაისი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო 13:00 სთ-ზე დამთავრდა 16:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ირინა გადელია, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, ვლადიმერ დანელია, ბექარ კუკანია, პაატა პირტახია, გოჩა ჯიქია, დათო ხელაია, გიორგი ხორავა, შალვა თაფლაძე, ზაზა რუხაია, მიხეილ ნაჭყებია, ზაალ გოროზია, ზაურ ჯახუა, ელენე კოკაია, ვახტანგ კეკელია, ნათია ქაჯაია, მამუკა დანელია, კობა ასაბაშვილი, აკაკი ხუნწელია, მაგდა შირავა.

რეგისტარცია გაიარა საკრებულოს 33–მა წევრმა.

ასევე ესწრებოდნენ: ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33–მა წევრმა.

სხდომას თავმჯდომარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან სურმავა.

მოისმინეს 1: საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით დასმტკიცებლად დასვა კენჭისყრაზე,

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 33. წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგი“ წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის განკარგულება № 47 სხდომის ოქმს თან ერთვის./

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

2. „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი-ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/
3. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის მოსმენისა და შეფასების თაობაზე;
/მომხსენებელი-ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/
4. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შტანის თაობაზე;
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
5. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ს.კ: 41.06.31.307 ნაკვეთზე განთავსებული №1 ნაგებობიდან, ერთი ოთახის 30 კვ.მ ფართის, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (23000 ლარი) 5%-ის ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
6. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.
/მომხსენებელი-მიხეილ ნაჭყებია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი/

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32 წევრმა.

მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ-ის ბონდო თოფურიას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ კეთილმოწყობის ცენტრის დაფინანსება დაშლილია 3 ორგანიზაციულ კოდად, კეთილმოწყობის ცენტრის ხარჯებში სპეც. მანქანის დასაქირავებლად გამოყოფილი თანხა 10000 ლარი ამოიწურა, კეთილმოწყობის ცენტრი ითხოვს თანხმობას ბალდა–გაჭედილის ტექნიკური წყალმომარაგების სისტემის სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოებისთვის გამოყოფილი 5000 ლარი და სადეზინფექციო სამუშაოებისთვის განკუთვნილ ხარჯებში წარმოდგენილი ეკონომია 1000 ლარი გამოყენებულ იქნას თვითმცლელი მანქანების დასაქირავებლად, აქედან გამომდინარე უნდა შემცირდეს დასუფთავება და ნარჩენების

გატანის ხარჯები 6000 ლარით და აღნიშნული თანხით გაიზარდოს კეთილმოწყობის ცენტრის ხარჯები კოდი/02 06/.

ასევე აღნიშნა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის 16 მარტის №ბ58220751 ბრძანებით მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის გადასახდელების ,,სარეზერვო ფონდიდან“ 10000 ლარი გამოიყო უკრაინის მოქალაქეებისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით, ჰუმანიტარული ტვირთის შესაძენად.

სხდომის თავჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ზურაბ მელიავამ აღნიშნა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტი ერთ ერთი პირველია ვინც უკრაინის მოქალაქეებისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით თანხები გამოყო ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რასაც მიესალმება.

სხდომის თავმჯდომარემ „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 31 , წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს, „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/,,,„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის დადგენილება №15 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-3 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32-მა წევრმა.

მოისმინეს 3 მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ-ის ბონდო თოფურიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის მიმოხილვა ნაზრდი ჯამით და აღნიშნული პროექტი წარადგინა ცხრილის სახით, რომელიც ასევე დაგზავნილ იყო საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში განსახილველად.

სხდომის თავჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 31, წინააღმდეგი 1.

დაადგინეს: მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის მოსმენისა და შეფასების თაობაზე საკითხი შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27მაისის № 48 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-4 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33-მა წევრმა.

მოისმინეს 4. საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შტანის თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 მაისის №7 დადგენილებაში აღმოჩნდა უზუსტობა, აღნიშნული დადგენილებით განხორციელებულ ცვლილებაში მე–12 მუხლის მე–3 პუნქტის ნაცვლად უნდა ეწეროს მე–4 პუნქტი.

სხდომის თავჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 33, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შტანის თაობაზე საკითხი წარმოდგენილი სახით.

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შტანის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27მაისის დადგენილება №16 სხდომის ოქმს თან ერთვის.

მე-5 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33-მა წევრმა.

მოისმინეს 5. საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ს.კ: 41.06.31.307 ნაკვეთზე განთავსებული №1 ნაგებობიდან, ერთი ოთახის 30 კვ.მ ფართის, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (23000 ლარი) 5%-ის ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარუდგინა ექსპერტიზის დასკვნა და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 32, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ს.კ: 41.06.31.307 ნაკვეთზე განთავსებული №1 ნაგებობიდან, ერთი ოთახის 30 კვ.მ ფართის, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (23000 ლარი) 5%-ის ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ს.კ: 41.06.31.307 ნაკვეთზე განთავსებული №1 ნაგებობიდან, ერთი ოთახის 30 კვ.მ ფართის, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (23000 ლარი) 5%-ის ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის განკარგულება №49 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-6 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33-მა წევრმა.

მოისმინეს 6. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიხეილ ნაჭყებიას მოხსენება მის მიერ ინიცირებულ საკითხთან დაკავშირებით - ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მ/წლის 29 აპრილს გამართულ საკრებულოს სხდომაზე საქართველოს ორგანული კანონის 46-ე მუხლის ,,ა“ პუნქტის საფუძველზე მის მიერ დასმული იქნა საკითხი განსახილველად 2022 წლის მარტვილის ბიუჯეტში დამტკიცებული 102 ათას ლარზე, რომელიც გათვალისწინებულია ანაზღაურებაზე არ მყოფი დეპუტატების სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯებისთვის.

საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის ,,ზ“ პუნქტის საფუძველზე მან საკრებულოს მიმართა წინადადებით, საკრებულოს მიერ გამოცემულ იქნას ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, საქართველოს ორგანული კანონის 19-ე და მე-20 მუხლების შესაბამისად, რითაც დადგენილ იქნება ბიუჯეტში გამოყოფილი თანხა 102 ათასი ლარი ანაზღაურებაზე არ მყოფი საკრებულოს წევრებისთვის რომელთა რაოდენობა შეადგენს 13–ს და თითოეული საკრებულოს წევრს მოუწევს ყოველდღიურად 650 ლარი საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად.

აღნიშნულ წინადადებას დაეთანხმნენ საკრებულოს სხვა წევრებიც.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 33, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და ოდენობა“ წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის დადგენილება №17 სხდომის ოქმს თან ერთვის.

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა